2018 წელი

კონკრეტული შემთხვევის მეთოდის (CASE STUDY) ინტეგრირება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სასწავლო კურსებზე

კონკრეტული შემთხვევის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი ავტორებისთვის

CTC
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
2018 წელი

კონკრეტული შემთხვევის ანალიზის მეთოდის (CASE STUDY) ინტეგრირება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის სასწავლო კურსებში

კონკრეტული შემთხვევის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი ავტორებისთვის

რა არის კონკრეტული შემთხვევების მეთოდი (CASE STUDY)?

შემთხვევების განხილვა, იგივე case study წარმოადგენს სწავლების სტრატეგიას, რომელსაც კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი სასწავლო კურსებზე სწავლებისას იყენებს. კონკრეტული შემთხვევების მეთოდი წარმოადგენს სწავლების თანამედროვე სტრატეგიას, სადაც განსხილულია ერთი ან რამდენიმე ადმინისტრაციული პრობლემა ან სიტუაცია, რომელიც შეიძლება ვითარდებოდეს ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში. კონკრეტული შემთხვევის დოკუმენტის ცენტრალურ ნაწილს სცენარი წარმოადგენს, სადაც აღწერილია თავად შემთხვევა, ფაქტი თუ ვითარება, რომელიც შეიძლება იყოს რეალური, გამოგონილი ან კომბინირებული. შესაძლებელია ქეისს თან ახლდეს შეჯამება, სადაც აღწერილია წარმოდგენილი შემთხვევის გადაწყვეტა, მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ან/და აქტივობები, რომლებიც მოქმედმა მხარეებმა განახორციელეს.

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ კონკრეტული შემთხვევის მეთოდის (Case Study) სწავლების პროცესში გამოყენების მიზანია ტრენინგის მონაწილეებს საშუალება მისცეს იმსჯელონ სფეროსთვის დამახასიათებელ და სპეციფიურ ისეთ პრობლემებსა თუ შემთხვევებზე, რომლებსაც ისინი შემდგომში რეალურ სამუშაო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადააწყდებიან. ცენტრის მიზანია, ტრენინგის მონაწილეებს თეორული ცოდნის მიღების პარალელურად, მისცეს კრიტიკულად მნიშვენლოვანი უნარების განვითარებისა და აქტუალურ პრობლემებზე/საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.

კონკრეტული შემთხვევის მეთოდი საშუალებას იძლევა ტრენინგის მონაწილეებმა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაონ წარმოდგენილი პრობლემის ან შემთხვევის გადაჭრაზე, რათა განივითაროს ისეთი საკვანძო უნარები, როგორიცაა:

- პრობლემების იდენტიფიკაცია და გადაჭრა;
- მონაცემების/ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტაცია;
- ვარაუდებისა და დასკვნების გააზრება და აღმოჩენა;
- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების გააზრება და შეფასება;
- იდეებისა და აზრების გენერირება და წარმოდგენა;
- განსჯა და გადაწყვეტილების მიღება;
- ჯგუფური მუშაობა და ლიდერობა;

- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია და სხვა.

ეფექტურად შემუშავებული კონკრეტული შემთხვევა, იგივე ქეისი ორიენტირებული უნდა იყოს რეალურ შემთხვევაზე/პრობლემაზე/ფაქტზე ან შესაძლებელია ის არ აღწერდეს რეალურ შემთხვევას, თუმცა მასში წარმოდგენილი უნდა იყოს აქტუალური შემთხვევები, პრობლემები ან ფაქტები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული სფეროსთვის ან/და საზოგადოებისთვის. აუცილებელია, ქეისში წარმოდგენილი შემთხვევა აქტუალური იყოს სამიზნე აუდიტორიისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება მისი ტრენინგზე გამოყენების საჭიროება. შედეგად, კონკრეტული შემთხვევა უნდა იყოს მაქსიმალურად რეალისტური და აქტუალური.

ამასთანავე, კონკრეტული შემთხვევის შერჩევასა და აღწერამდე ავტორმა და კურსის მენეჯმენტმა მკაფიოდ უნდა გასაზღვრონ თავად ტრენინგ კურსისა და მასში ინტეგრირებული ქეისის მიზანი. აუცილებელია, საწყის ეტაპზევე განისაზღვროს ის კომპეტენციები და მიზნები, რომლებსაც უნდა მიაღწიონ ტრენინგის მონაწილეებმა ქეისზე მუშაობისა და კურსის განმავლობაში. შედეგად, ქეისი ორიენტირებული უნდა იყოს კურსის სამიზნე კომპტენციების განვითარებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქეისი არ არის ორიენტირებული კურსისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებზე, ის არ ეხმიანება კურსის მიზნებს და შედეგად, ეჭვქვეშ დგება მისი ეფექტურობისა და გამოყენების საჭიროების საკითხები.

შემთხვევის ანალიზის სამიზნე საკითხები

იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული შემთხვევის აღწერა მიზნობრივი დოკუმენტია, მასში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი, რადგან ქეისში წარმოდგენილი შემთხვევის, ფაქტისა თუ პრობლემის ინტერპრეტაციას განსხვავებულად ახდენს თითოეული სტუდენტი, ჯგუფი თუ ინსტრუქტორი. შედეგად, კონკრეტული შემთხვევების მეთოდის გამოყენება კეთილგონივრულია ისეთ სფეროებში, რომლებიც უფრო მეტად ინტერპრეტირებადია, ვიდრე დირექტიული და მიმართულების მიმცემი. მაგალითად, მეთოდის გამოყენება ძალიან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ გვსურს პრიორიტეტების დასახვა, სტრატეგიებისა და ბიზნეს გეგმების განვითარება, გადაწყვეტილების მიღება ან მიღებული გადაწყვეტილების აღწერა/ანალიზი ან/და თეორიებისა და სამეცნიერო პრინციპების გამოყენება პრაქტიკაში. შედეგად, ქეისისთვის შესაბამისი კონკრეტული შემთხვევის არჩევისას, ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სამიზნე თემა იყოს უფრო მეტად ინტერპრეტირებადი და არა დირექტივის მიმცემი და წინასწარ განსაზღვრული.

შემთხვევის ანალიზის ელემენტები

შემთხვევის ანალიზი შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე სცენარს, ანუ მასში წარმოდგენილი იყოს ერთი ან რამდენიმე შემთხვევა, აქტივობა, პრობლემა ან გადაწყვეტილება. დოკუმენტის ფორმა მრავალფეროვანია და დამოკიდებულია სამიზნე საკითხის სპეციფიკაზე, ტრენინგ კურსის მიზანსა და სამიზნე აუდიტორიის მახასიათებლებზე. კონკრეტული შემთხვევა შეიძლება

წარმოდგენილი იყოს ტრადიციული, წერილობითი დოკუმენტის სახით, ან ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალების, ექსელის ცხრილების, გრაფიკების, სხვადასხვა დამატებითი დოკუმენტების კომბინირებით. ქეისის ზომა საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მცირე ან მოიცავდეს რამდენიმე ათეულ გვერდსაც კი. ქეისის მოცულობისა და სირთულის განსაზღვრისას ავტორმა უნდა გაითვალისწინოს კურსის მიზნები და სამიზნე აუდიტორიის მახასიათებლები, რათა ის არ აღმოჩნდეს შეუსაბამო (ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი) ტრენინგის მონაწილეებისათვის.

უმჯობესია, თუ კონკრეტული შემთხვევის დოკუმენტს თან ახლავს სასწავლო დოკუმენტი, რომელიც რეალურად წარმოადგენს ქეისის ავტორსა და ტრენერს შორის კომუნიკაციის საშუალებას. უმრავლეს შემთხვევაში, ქეისის ავტორი თავად არ არის ტრენინგ კურსის ინსტრუქტორი, შესაბამისად, ქეისის შინაარსსა და სპეციფიკაში უკეთ გასარკვევად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ინსტრუქტორისთვის. სასწავლო დოკუმენტში აღწერილია ქეისის მომზადების მიზეზები და მიზნები, კითხვები, რომელთა დასმაც ქეისის ამოსახსნელად არის საჭირო და პროფესიული და თეორიული საკითხები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია ქეისზე მუშაობისთვის. რეალურად, სასწავლო დოკუმენტი აღწერს კონკრეტული შემთხვევის სასწავლო მიზნებს.

ელემენტი	აღწერა
შესავალი	ქეისის შესავალში განსაზღვრულია წარმოდგენილი პრობლემა, ვითარება, შემთხვევა და აღწერილია მისი პარამეტრები და შეზღუდვები
მიმოხილვა/ანალიზი	მიმოხილვის / ანალიზის ნაწილში აღწერილია შემთხვევის/პრობლემის ან/და სიტუაციის *სცენარი*. ის რეალურად წარმოადგენს ქეისის ცენტრალურ ნაწილს. მასში აღწერილია შემთხვევის ყველა დეტალი, წარმოდგენილია სხვადასხვა მხარეები და მათი შეხედულებები/არგუმენტები, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა მონაცემები, დასმულია კითხვები და ქეისის ტიპის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებები ან მიღებული გადაწყვეტილების შედეგები. მასში წარმოდგენილი შეიძლება იყოს საკითხისთვის დამახასიათებელი პროფესიული, ტექნიკური ან თეორიული საკითხები. სცენარი შეიძლება მოიცადეს სხვადასხვა გრაფიკული ან ვიზუალური თვალსაჩინოებით წარმოდგენილ ინფორმაციას, როგორიც შეიძლება იყოს ბიუჯეტი, ორგანიზაციის ცხრილები და გრაფიკები, ტექნიკური მახასიათებლები, ჩართული მხარეების არგუმენტები/მიზნები და ა.შ.
სტატუსის ანგარიში	სტატუსის ანგარიში წარმოადგენს სცენარის ერთგვარ შეჯამებას და მასში აღწერილია ქეისში წარმოდგენილ სიტუაციაზე ჩართული მხარეების რეაგირების ფორმები:

	მოქმედებები, აქტივობები, მიღებული გადაწყვეტილებები ან გადაწყვეტილების შედეგები. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა მხარის პოზიციიდან, მაგალითად, მენეჯერები, დაქირავებულები, პროდუქციის მომხმარებლები, საზოგადოების წევრები, სფეროს ექსპერტები და ა.შ.
პრობლემები	კონკრეტული შემთხვევის სცენარის აღწერისა და სტატუსის განსაზღვრის შემდეგ ავტორი გამოკვეთს იმ მნიშვნელოვან პრობლემას ან პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ გადაწყვეტას ან/და ანალიზს. მათი წარმოდგენა შესაძლებელია სამი სხვადასხვა ფორმით: 1. სცენარის აღწერის შემდეგ მონაწილეებს მოეთხოვებათ თავად იმსჯელონ, რა იქნება შემდეგ (ამ შემთხვევაში, ქეისში არ არის წარმოდგენილი მოქმედი პირებისა თუ მხარეების რეაგირების ფორმები); 2. სცენარის აღწერის შემდეგ მონაწილეებს მოეთხოვებათ თავად განსაზღვრონ რა არის შემთხვევის საკვანძო საკითხები/პრობლემები (ქეისში არ არის ცალკე წარმოდგენილი საკვანძო საკითხები/პრობლემები); 3. სცენარის აღწერის შემდეგ მონაწილეებს მოეთხოვებათ გაანალიზონ დაშვებული შეცდომები და შეიმუშაონ რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად. კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქეისში არ იყოს წარმოდგენილი პრობლემების კომპონენტი, რადგან ავტორმა და ინსტრუქტორმა საჭიროდ ჩათვალონ მონაწილეებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილებები.
დანართი	ქეისის დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს მაქსიმალურად ყველა ტიპის ინფორმაცია თუ დამატებითი რესურსი, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პრობლემის გადასაჭრელად. დამატებითი მასალა შეიძლება იყოს დოკუმენტების ასლები, დამატებითი საკითხავი მასალა, გრაფიკები და ცხრილები, ტექნიკური მახასიათებლები, ფოტო, ვიდეო ან აუდიო მასალები და ა.შ. რომელთა გაცნობაც აუცილებელია ქეისზე სამუშაოდ.

სასწავლო დოკუმენტის ელემენტები

ელემენტი	აღწერა
მიმოხილვა	მიმოხილვის ნაწილში წარმოდგენილია ქეისში აღწერილი შემთხვევის ზოგადი დახასიათება, რომელიც ტრენერს წარმოადგენას უქმნის თავად ქეისის შინაარსისა და მიზნების შესახებ
საგანმანათლებლო მიზნები	აღნიშნულ კომპონენტში წარმოდგენილია ის საგანმანათლებლო/ სასწავლო მიზნები, რომლის მიღწევაც ქეისის მიზანს წარმოადგენს. ამ კომპონენტში ავტორმა უნდა ჩამოაყალიბოს ის კომპეტენციები, რომელთა განვითარებაც ქეისზე მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი *(როგორც დოკუმენტის დასაწყისში ავღნიშნეთ, სამიზნე კომპეტენციების ინდენტიფიკაცია უნდა მოხდეს ქეისზე მუშაობის დაწყებამდე)*
სადისკუსიო საკითხები	აღნიშნულ კომპონენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები ინსტრუქტორისთვის / ტრენერისთვის, თუ როგორ უნდა ასწავლოს ინსტრუქტორმა ტრენინგის მონაწილეებს ქეისი და როგორ მოახერხოს მისი ეფექტურად ინტეგრირება ტრენინგ კურსში. სასურველია, ქეისის ავტორმა წინასწარ განსაზღვროს სწავლების ის მეთოდები, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია ქეისის გასახილველად *(დეტალურად იხილეთ ქვევით სწავლების სტრატეგიები)* და კითხვები *(დეტალურად იხილეთ ქვევით),* რომლებიც უნდა დაუსვას ტრენერმა ტრენინგის მონაწილეებს სასწავლო პროცესში ჩასართავად და ქეისის განხილვის წარმართვისთვის.
გადასაჭრელი პრობლემების ტიპები	იმ შემთხვევაში, თუ ქეისში წარმოდგენილია კონკრეტული პრობლემა, ავტორი აძლევს რეკომენდაციას ტრენერს, თუ რას წარმოადგენს პრობლემა და რა მეთოდების გამოყენებით არის რეკომენდებული აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა და გადაჭრა
დანართი	დანართში ქეისის ავტორი წარმოდგენს ბიბლიოგრაფიას, ლექსიკონს თუ სხვა დამატებით ინფორმაციას, რომელთა მოშველიებაც რეკომენდებულია ქეისზე სამუშაოდ. შესაძლებელია, დანართში წარმოდგენილი იყოს კონკრეტული სახელმძღვანელოები, თეორიული და პროფესიული საკითხები და ა.შ. რომელთა გაცნობაც ტრენინგის მონაწილეებს ქეისზე მუშაობისას დაეხმარებათ

შემთხვევის ანალიზის ტიპები

იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების მეთოდის ბევრი განსხვავებული ალტერნატივა არსებობს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი არ ზღუდავს ავტორის შემოქმედებითობას და მიესალმება მრავალფეროვანი მიდგომებისა და ტექნიკების გამოყენებას სწავლების მიზნებისთვის. თუმცა, არსებული სამეცნიერო და პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით განისაზღვრება პრაქტიკული შემთხვევების რამდენიმე კატეგორია, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია შემთხვევების მომზადება.

მიკრო და მაკრომასშტაბის შემთხვევები

ტრენინგ კურსის სპეციფიკიდან და ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე კურსის მენეჯმენტმა და ქეისების ავტორმა შეიძლება მიიღონ მიკრომასშტაბის ქეისების შემუშავების გადაწყვეტილება. მიკრომასშტაბის ქეისები სხვა ტიპის ქეისებისგან ნაკლებკომპლექსურობითა და სიმარტივით გამოირჩევა. როგორც წესი, ამ ტიპის ქეისი აღწერს ერთ შემთხვევას, სადაც წარმოდგენილი შეიძლება იყოს ერთი თვალნათელი პრობლემა. შედეგად, კურსის ბენეფიციარებს უმარტივდებათ შემთხვევის გაანალიზება და პრობლემის იდენტიფიკაცია. მიკრომასშტაბის ქეისებში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ან არ იყოს ინფორმაცია პრობლების გადაჭრის შესახებ. მასში შესაძლოა აღწერილი იყოს შემთხვევა და ასევე შემთხვევის გადაწყვეტაც, მაგრამ შესაძლებელია ტრენინგ კურსის მიზნებიდან გამომდინარე აღწერილი იყოს შემთხვევა, თუმცა არ იყოს წარმოდგენილი მისი გადაჭრის შესახებ ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, ტრენერი აუდიტორიას მხოლოდ შემთხვევას აცნობს, ხოლო მონაწილეებს მოეთხოვებათ თავად იპოვონ პრობლემის გადაჭრის გზები. მეორე შემთხვევაში კი აუდიტორია განიხილავს ასევე ქეისში წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრისთვის მიღებულ გადაწყვეტილებას და მსჯელობს მისი კეთილგონივრულობის შესახებ.

მიკრომასშტაბის შემთხვევების განხილვისას, ავტორმა უნდა გაიაზროს რა უნარების განვითარებაა საჭირო კონკრეტულ ტრენინგ კურსზე. ქეისები, სადაც წარმოდგენილია მიღებული გადაწყვეტილებაც, ტრენინინგის მონაწილეებს მოუწევთ, იმსჯელონ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ხოლო ქეისებში, სადაც მხოლოდ შემთხვევაა აღწერილი მიღებული გადაწყევტილების გარეშე, მონაწილეებს ევალებათ თავად განიხილონ სხვადასხვა ალტერნატივა და მიიღონ გადაწყვეტილება, რაც განსჯისა და გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

მიკრომასშტაბის ქეისების გამოყენება შესაძლებელია ისეთ აუდიტორიასთანაც, რომლებსაც მცირე გამოცდილება და პროფესიული ცოდნა აქვთ. როგორც წესი, ამგვარი ქეისების ამოხსნა მცირე დროსთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, ავტორსა თუ ტრენერს უადვილდება მისი დაგეგმვა.

მიკრომასშტაბის ქეისები შეიძლება ორიენტირებული იყო ძალიან ვიწრო პრობლემაზე და შემთხვევაზე და შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთ რომელიმე

ტრენინგ კურსზე. ამის საპირისპიროდ, მიკრომასშტაბის ქეისში შეიძლება განხილული იყოს ზოგადი ტიპის შემთხვევა ან პრობლემა და შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგ კურსებზე. მაგალითად, საჯარო ადმინისტრირების ტრენინგ კურების შემთხვევაში მიკრომასშთაბის ქეისი შეიძლება ეხებოდეს ლიდერობას, კონკრეტულ ეთიკურ დილემას, მენეჯმენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ან/და ადამიანური რესურსების მართვას.

მიკრომასშტაბის ქეისებისგან განსხვავებით მაკრომასშტაბის ქეისები უფრო კომპლექსური და რთულია. თუ მიკროქეისებში წარმოდგენილია მხოლოდ შემთხვევა, მაკროქეისებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ან დაუკავშირებელ პრობლემას აერთიანებდეს. მაკროქეისებში წარმოდგენილი შემთხვევები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე მხარეს, მაგალითად. წარმოდგენილი იყოს ჯერმო ორგანიზაციის, საჯარო სტურქტურის ან ინდივიდუალური პირების შეხედულებები და პოზიციები. ქეისი შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს პრობლემის გადაჭრის კომპონენტს. პირველ შემთხვევაში, ტრენინგის მონაწილეებს მოეთხოვებას სხვადასხვა მხარის პერსპექტივიდან დეტალურად შეისწავლონ კონკრეტული შემთხვევა და განიხილონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების კეთილგონივრულობა (თუ შემთხვევა მოიცავს გადაჭრის კომპონენტს) ან წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაფუძნებით, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები სხვადასხვა მხარის პოზიციიდან. მიკროსგან განსხვავებით, მაკრომასშტაბის ქეიებზე მუშაობა გაცილებით მეტ დროსთან არის დაკავშირებული. შესაძლებელია, მთელი ტრენინგ კურსი მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევის გადაჭრაზე იყოს ორიენტირებული. მაკრომასშტაბის ქეისი შემთხვევაშიც შეიძლება იყოს ძალიან სპეციფიური (შესაბამისად, გამიზნული იყოს მხოლოდ კონკრეტული ტრენინგ კურსისთვის) ან ზოგადი (შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ტიპის კურსებზე). ამასთანავე, შესაძლებელია ქეისი იყოს მულტიდისციპლინური, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრენინგის მონაწილეს ქეისზე სამუშაოდ სჭირდებოდეს ცოდნა სხვასხვა საკითხის ან დისციპლინის შესახებ. მაკრომასშტაბის ქეისის შემუშავებისას ავტორმა და კურსის მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს კურსის მიზნები და ბენეფიციართა გამოცდილება, რადგან, როგორც წესი, ამ ტიპის ქეისების გამოყენება უფრო მეტად კეთილგონივრულია იმ ადამიანებთან, რომლებსაც უკვე აქვს გაკვეული ცოდნა და გამოცდილებას. ამასთანავე, მაკრომასშტაბის ქეისებზე მუშაობა ტრენერისა და ტრენინგის მონაწილეების მეტ ჩართულობას საჭიროებს.

დასრულებული და დაუსრულებელი ქეისები

ტრენინგ კურსის მიზნებიდან და მონაწილეთა ტრენინგ საჭიროებებიდან გამომდინარე ავტორმა შეიძლება შემუშავოს დასრულებული და დაუსრულებელი ტიპის ქეისები, რომლებიც თავისმხრივ შეიძლება იყოს მიკრო ან მაკრომასშტაბის. დასრულებული ტიპის ქეისებში შემთხვევის აღწერილობის შემდეგ მოცემულია მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების შედეგები ან სხვადასხვა მხარიდ დასკვნები. შედეგად, აღწერილი შემთხვევა შეჯამებულია და ტრენინგის მონაწილეებს აღარ მოეთხოვებად თავად იფიქრონ გადაწყვეტაზე. ამის

საპირისპიროდ, დასრულებული ქეისები ორიენტირებულია კრიტიკული მსჯელობისა და განსჯის უნარების განვითარებაზე, რადგან ტრენინგის მონაწილეებს მოეთხოვებათ მიღებული გადაწყვეტილების შეფასება და გადაწყვეტილების შედეგების გაანალიზება.

დაუსრულებელი ტიპის ქეისები ტრენინგის მონაწილეებს მსჯელობის ასპარეზს უხსნის, რადგან მასში აღწერილია მხოლოდ შემთხვევა და არ არის წარმოდგენილი შეჯამება, მიღებული გადაწყვეტილება ან/და გადაწყვეტილებით გამოწვეული შედეგები. მაკრომასშტაბის დაუსრულებელ ქეისებში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა მხარის მიერ დანახული ერთი შემთხვევა ან შემთხვევასთან დაკავშირებით რამდენიმე მხარის არგუმენტები, ხოლო ტრნენინგის მონაწილეებს მოეთხოვებათ თავად იმსჯელონ, გაანალიზოს ალტერანტივები და მიიღონ გადაწყვეტილება (თუ ტრენერის მიზანია, ჯგუფი საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდეს). დაუსრულებელი ტიპის ქეისებში, როგორც წესი, წარმოდგენილია ე.წ. *კრიტიკული ინციდენტები.* თავისმხრივ, კრიტიკული ინციდენტი წარმოადგენს პრაქტიკულ სამუშაო შემთხვევებს, სადაც შეჯამების გარეშე, უბრალოდ აღწერილია სხვადასხვა ტიპის პრობლემა, ინციდენტი ან ისტორია, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო ერთ ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში. როგორც დასრულებული, ისე დაუსრულებელი ფორმატის ქეისები მრავალი სხვადასხვა უნარის განვითარებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული, მაგალითად: კრიტიკული აზროვნება, განსჯა და გადაწყვეტილების მიღება, დეტალებზე ორიენტაცია, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, პრობლემის გადაჭრა, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, მრავალრიცხოვანი ინფორმაციის გაანალიზება, პრიორიტეტიზაცია და ა.შ.

ფაქტობრივი და ფიქციური ქეისები

ტრენინგისა და განვითარების მიზნით ავტორის მიერ შემუშავებული ქეისი შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან ფიქტიური შინაარსის, რომლებიც ერთმანეთისგან აღწერილი შემთხვევისა და თუ ვითარების რეალურობით განსხვავდებიან. ფაქტობრივ ქეისებში წარმოდგენილი ვითარება, პრობლემა თუ კრიტიკული ინიციდენტი რეალურია და ის მოხდა კონკრეტულ დროს, რეალურ ადგილას და რეალური ადამიანების მონაწილეობით. ამ ტიპის ქეისების უპირატესობა ისაა, რომ ავტორმა შეიძლება გამოიყენოს აქტუალური და კრიტიკულად მნიშვნელოვანი შემთხვევები, რომლებიც საჭიროებს გაანალიზებას. ამასთანავე, ტრენინგის მონაწილეები ემოციურად უფრო ჩართულნი არიან ამგვარი შემთხვევების განხილვაში და როგორც წესი, მათი მოტივაცია მაღალია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ქეისი კარგად გაცნობია, ტრენინგის მონაწილეებს შესაძლოა გარკვეული შემხებლობა ან/და წინასწარი განწყობები/დამოკიდებულებები ჰქონდეთ აღნიშნულ ქეისთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა განსჯისა და ანალიზის პროცესში შეუშალოს ხელი. შესაბამისად, ავტორმა ფაქიზად უნდა შეარჩიოს რეალური მოვლენები და ამასთანავე, განსაზღვროს, რომ მათი კავშირი ტრენინგ კურსის მიზნებთან.

ფაქტობრივი შინაარსის ქეისებისთვის დამახასიათებელი გამოწვევების თავიდან ასარიდებლად ავტორმა შესაძლოა მიმართოს ფიქციური ქეისების პრაქტიკას, სადაც არ არის წარმოდგენილი რეალური ფაქტები და ყველაფერი ავტორის შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული. ამასთანავე, თუ ფაქტობრივ ქეისებში უკვე არსებული შემთხვევაა წარმოდგენილი, რომლის შეცვლაც ცხადია

შეუძლებელია, ფიქტიური ქეისები ავტორს შეუძლია ყველმხრივ მოარგოს კურსის მიზნებსა და ტრენინგის მონაწილეების საჭიროებებს. მართალია, ამ შემთხვევაში, აუდიტორია შეიძლება არ იყოს იმდენად მოტივირებული და ჩართული, როგორც ფაქტობრივი ქეისების შემთხვევაში, თუმცა რეალურ სიტუაციასთან მიახლოების მიზნით ავტორმა შეიძლება მიმართოს ჰიბრიდულ მიდგომას და ქეისში წარმოადგინოს რეალური შემთხვევები, თუმცა კურსის მიზნებიდან გამომდინარე შეცვალოს გარკვეული ფაქტები, მოქმედი მხარეები და რიგი მოქმედებები.

დამოუკიდებელი, ინტეგრირებული და ინტერაქციული ქეისები

ტრენინგის მიზნებიდან, ხანგრძლივობიდან და მონაწილეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე ავტორმა შეიძლება გამოიყენოს აღნიშნული სამი ტიპის ქეისები, რომლებიც ერთმანეთისგან დამატებითი რესურსების არსებობით განსხვავდებიან.

დამოუკიდებელ, იგივე იზოლირებულ ქეისებს თან არ ახლავს დამატებითი რესურსები და მხოლოდ კონკრეტული მოვლენის, ფაქტის, კრიტიკული ინციდენტისა და პრობლემის აღწერილობით შემოიფარგლება. იგულისხმება, რომ მსგავს ქეისში მოცემული უნდა იყოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ტრენინგის მონაწილეს სამუშაოს განსამკლავებლად სჭირდება. მიუხედავად მისი დასახელებისა, აღნიშნული ტიპის ქეისები დაკავშირებულია კურსის შინაარსთან და არ არის მთლად იზოლირებული. რეალურად, ქეისზე სამუშაოდ ტრენინგის მონაწილემ უნდა გამოიყენოს კურსის მანძილზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისად, საჭიროა ქეისის წარდგენის შემდეგ ტრენერმა სწორი მინიშნებები წარუდგინოს მონაწილეებს, თუ რა მიმართულებით უნდა გააგრძელონ მუშაობა. იზოლირებული ქეისი შეიძლება იყოს მიკრო ან მაკრომასშტაბის, დასრულებული ან დაუსრულებელი და ფაქტობივი ან ფიქტიური.

ინტერგირებულ ქეისებს თან ახლავს დამატებითი ინფორმაცია, რომელთა გაცნობა შემთხვევის გაცნობასთან ერთად მნიშვნელოვანია სამუშაოს შესასრულებლად. დამატებითი ინფორმაცია განხილული ქეისიდან გამომდინარე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ავტორს შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს პროცესს და გამოიყენოს ისეთი მრავალგვარი მასალები, როგორიცაა: განხილულ შემთხვევასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, ფოტო, აუდიო ან ვიდეომასალა, დამატებითი ლიტერატურა და ა.შ. მსგავი ქეისები ცხადია უფრო კომპლექსურობით ხასიათდება და ტრენინგის მონაწილეს მოეთხოვება გაეცნოს არამარტო ქეისს, არამედ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციასაც, რათა წარმატებით შეასრულოს სამუშაო.

ინტერაქციულ ქეისებს იზოლირებული ქეისების მსგავსად თან არ ახლავს დამატებითი ინფორმაცია, თუმცა ტრენინგის მონაწილეებს თავად მოეთხოვებათ დამატებითი ინფორმაციის მოძიება, რადგან ქეისში წარმოდგენილია შემთხვევის ზოგადი აღწერილობა და შესაბამისად, მოცემული ფაქტები არ არის საკმარისი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. შედეგად, ქეისის აღნიშნული ტიპი მეტად ინტერაქციულია, რადგან ინფორმაციისა და დამატებითი მასალების მოძიების პროცესში თავად ტრენინგის მონაწილეები არიან ჩართულნი. ინტერაქციული ქეისების

გადაჭრა, თავისი არსიდან გამომდინარე, გრძელვადიანია და მასზე მუშაობა შესაძლოა გაგრძელდეს მთელი კურსის განმავლობაში. ტრენინგის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად შეუძლიათ ნებისმიერი წყაროს გამოყენება და მათ შორის, ტრენერთან კონსულტაციების.

რეკომენდაციები ქეისების შემუშავებისთვის

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი ქეისის ავტორებს სამეცნიერო და პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებით სთავაზობს რამდენიმე ძირეულ რეკომენდაციას, რომელთა გათვალისწინებაც დადებითად წაადგებათ მათ ეფექტური ქეისების შემუშავებისთვის:

- ავტორი უნდა ეცადოს, რომ ქეისში წარმოდგენილი შემთხვევა იყოს აქტუალური და გავრცელებული. ქეისის შემუშავებისას ავტორს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ტრენინგში კონკრეტული შემთხვევის მიზანია მონაწილეები მეტნაკლებად მოემზადოს რეალური სამუშაო გარემოსთვის, შედეგად, ქეისში წარმოდგენილი შემთხვევა აქტუალური უნდა იყოს ტრენინგის მონაწილეების საქმიანობაში;
- ქეისის შემუშავებისას ავტორი უნდა ეცადოს, რომ ფოკუსი არ დაკარგოს ცენტრალურ პრობლემაზე ან შემთხვევაზე. შესაძლებელია, სცენარში აღწერილი იყოს ერთი ან რამდენიმე პრობლემა, თუმცა ყველა მათგანი სათანადოდ უნდა იყოს წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ ტრენინგის მონაწილეები ყურადღებას გაამახვილებენ სხვა შემთხვევასა და პრობლემაზე, რომელზეც რეალურად არ არის ორიენტირებული სცენარი, მაშინ ის არაკეთილგონივრულად არის შემუშავებული. *რეკომენდებულია, ტრენინგ კურსში გამოყენებამდე, ქეისი დაპილოტდეს ტრენინგის მონაწილეების შესაბამის ჯგუფზე, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გართულებები;*
- ავტორი უნდა შეეცადოს, რომ ქეისში აღწერილ პრობლემასთან თუ შემთხვევასთან შემთხვევასთან დაკავშირებით მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია წარმოადგინოს, რათა მონაწილეებმა მხოლოდ წარმოდგენილი ინფორმაციით შესძლონ ქეისზე მუშაობა. საჭირო ინფორმაცია წარმოდგენილი შეიძლება იყოს როგორც სცენარში, ასევე დოკუმენტის დანართებში. ავტორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, მის მიერ აღწერილი ქეისით ტრენინგის მონაწილემ უნდა შესძლოს შემთხვევისა და თუ პრობლემის წარმოდგენა;
- სცენარში წარმოდგენილი ინფორმაცია, ფაქტები თუ მოვლენები უნდა იყოს ქრონოლოგიურად დალაგებული, რათა ტრენინგის მონაწილემ შესძლოს მოვლენების თანმიმდევრულად აღქმა და საერთო სურათის წარმოდგენა. ავტორი უნდა შეეცადოს, პროცესი აღწეროს თანმიმდევრულად - როგორ დაიწყო პროცესი, როგორ მიმდინარეობდა ის და საბოლოოდ, როგორი იყო მისი დასასული;
- იქიდან გამომდინარე, რომ ქეისი რეალურად კონკრეტულ ისტორიას წარმოადგენს, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფორმა - დასაწყისი/შესავალი, მიმდინარეობა (პროცესი) და დასასრული/შეჯამება. ამასთანავე, ქეისში წარმოდგენილი ფაქტები, მოვლენები თუ პრობლემები ვითარდებოდეს ზოგადიდან სპეციფიურის მიმართულებით. სასურველია,

თუ სცენარის დასაწყისში წარმოდგენილი იქნება ზოგადი ინფორმაცია, ხოლო ავტორი შეეცდება თანდათან უფრო და უფრო სპეციფიური ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს სიტუაციის/ვითარების უკეთ გასარკვევად;

- იმ შემთხვევაში, თუ ავტორი გადაწყვეტს რეალური შემთხვევის აღწერას, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციაში მოხდა, შესაძლებელია საჭირო იყოს კონფიდენციალურობის საკითხების გათვალისწინება, რადგან ქეისში წარმოდგენილ ორგანიზაციას არ სურდეს მისი სახელის გაჟღერება. ამ შემთხვევაში, ავტორი უნდა შეეცადოს საიმედოდ შეცვალოს ორგანიზაციის დასახელება და ფაქტები, ისე რომ ტრენინგის მონაწილეებისთვის შეუძლებელი გახდეს მისი იდენტიფიკაცია, თუმცა ამავდროულად, ავტორი უნდა შეეცადოს მაქსიმალურად რეალისტურად წარმოდგინოს არსებული რეალობა და დეტალურად გადმოსცეს ისინი ქეისში, რათა შემთხვევამ არ დაკარგოს თავისი არსი და ბუნება;
- იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე შრომის ბაზარი მუდმივად იცვლება, ძველდება კონკრეტული შემთხვევებიც. მაგალითად, 2018 წელს აქტუალური საკითხი ან პრობლემა, შესაძლებელია აღარ იყოს აქტუალური 2019 წელს. ეს განსაკუთრებით ეხება ტექნოლოგიურ მიმართულებებს, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლება და ვითარდება. შედეგად, ავტორმა შემთხვევის თხრობისას აუცილებლად უნდა გამოიყენოს წარსული ფორმა, სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია გამოიწვიოს ტრენინგის მონაწილის დაბნეულობა. მაგალითად, თუ ავტორი კონკრეტულ კომპანიას მოიხსენიებს ყველაზე წარმატებულად, ადვილი შესაძლებელია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ქეისის გამოყენებისას ეს კონკრეტული კომპანია შრომის ბაზარზე აღარ ითვლებოდეს ყველაზე წარმატებულად, შედეგად, შესაჭირო იქნება ქეისის გარდაქმნა და კორექტირება. აღნიშნული მიზეზების გამო, რეკომენდებულია, შემთხვევის აღწერისას ავტორმა არ გამოიყენოს სიტყვები „ამჟამად“, „ახლა“, „ორი წლის წინ“ და ა.შ.
- ავტორი უნდა შეეცადოს კონკრეტული შემთხვევის აღწერისას გამოიყენოს თხრობის საინტერესო სტილი. სასურველია, თუ თხრობისას ავტორი მოვლენებს იმგვარად წარმოდგენს, რომ გამოიწვიოს მკითხველის დაინტერესება და ერთგვარი ინტრიგა შეუქმნას მას. კარგი ქეისის წაკითხვის შემთხვევაში მკითხველს უნდა გაუჩნდეს დამატებითი კითხვები როგორც საკუთარ თავთან, ისე პროცესში ჩართულ მხარეებთან;
- კონკრეტული შემთხვევის თხრობიდას ავტორმა უნდა გამოიყენოს მარტივი სასაუბრო ენა, რათა ქეისი არ იყოს გასაგები მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის. ამ შემთხვევაში იზღუდება ქეისის გამოყენების შესაძლებლობები. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, ქეისის შექმნის მიზნები. თუ ის იქმნება სპეციფიური ტრენინგ კურსისთვის, შესაძლებელია, პირიქით, თხრობის სტილი იყოს მეტად პროფესიული და ტრენინგის მონაწილეების ლექსიკაზე მორგებული, ხოლო თუ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს სურს ზოგადი ხასიათის ქეისის შემუშავება, რომელსაც სხვადასხვა თემატიკის კურსზე გამოიყენებს, ავტორმა თავი უნდა აარიდოს რთული და პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებას ან/და მისი გამოყენების შემთხვევაში წარმოადგინოს მისი დეტალური განმარტებები;

კონკრეტული შემთხვევის მეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში

კონკრეტული შემთხვევების მეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში განსხვავებული გზებით არის შესაძლებელი. კურსის მიზნებიდან და სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებიდან გამომდინარე, ტრენერს შეუძლია ქეისში წარმოდგენილი პრაქტიკული შემთხვების განხილვა სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ასევე შესასწავლი საკითხი, კურსის ხანგრძლივობა და სწავლების შედეგები. ტრენინგ კურსის დაწყებამდე, ტრენერმა და ქეისების ავტორმა დეტალურად უნდა გაწერონ ქეისზე მუშაობის გეგმა და განსაზღვროს სწავლების ის მეთოდები, რომლებსაც ქეისის განხილვისას გამოიყენებენ, თუმცა მანამდე აუცილებელია განისაზღვროს ქეისის ადგილი სასწავლი კურსზე, რომელიც ორი ტიპის შეიძლება იყოს.

კურსზე ორიენტირებული ქეისი - ავტორი ტრენინგ ცენტრის მენეჯმენტთან ერთად განსაზღვრავს ქეისი კურსზე იქნება ინტეგრირებული თუ თავად კურსი იქნება ქეისის გადაწყვეტაზე ორიენტირებული. პირველ შემთხვევაში, ქეისის განხილვა კურსის მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. გარკვეული თეორიული ცოდნის მიწოდების შემდეგ კურსის მიმდინარეობის განსაზღვრულ ეტაპზე ტრენერი მონაწილეებს წარუდგენს წინასწარ შემუშავებულ ქეისს, რომელიც რეალურად მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შეჯამებისა და მათი პრაქტიკულ სამუშაო სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობას იძლება. ამ შემთხევაში, კურსის მიზნებიდან გამომდინარე, ქეისზე მუშაობას შესაძლებელია განსხვავებული დრო დაეთმოს, თუმცა ხანგრძლივობა მაინც დროშია შეზღუდული.

ქეისზე ორიენტირებული კურსი - მეორე შემთხვევაში, თავად კურსი შეიძლება იყოს ორიენტირებული ქეისის გადაწყვეტაზე. ამ შემთხვევაში, კურსის საწყის ეტაპზე ტრენერი მონაწილეებს წარუდგენს კონკრეტულ ქეისს, ხოლო მთელი ტრენინგ კურსი ორიენტირებულია ამ ქეისის გადაწყვეტაზე. კურსის მიმდინარეობისას მონაწილეები იღებენ შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარდგენილი ქეისის გადასაწყვეტად არის საჭირო. ცხადია, პირველისგან განსხვავებით, ამ ტიპის ქეისები გაცილების კომპლექსური, მოცულობითი და ვრცელია.

ტრენინგ კურსის მიზნებიდან, აუდიტორიის საჭიროებებიდან და განხილული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ტრენერს შეუძლია ქეისის განხილვა განსხვავებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. იმის გათვალისწინებით, რომ ტრენერი დიდი ალბათობით არ არის ქეისის ავტორი, აუცილებელია ქეისის შემუშავების პროცესშივე განისაზღვროს სწავლების რა მეთოდების გამოყენებაა რეკომენდებული მისი განხილვისას. ტრენერსა და ავტორს შეუძლიათ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს მიმართოს, რომელთა ნაწილი წარმოდგენილია ქვევით:

საკლასო დისკუსია - განხილული თემისა და კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია წარდგენილ ქეისთან დაკავშირებით საკლასო დისკუსიის წარმართვა. ტრენერს შეუძლია დისკურსია გამართოს ქეისის წარდგენისთანავე ან მისი კომპლექსურობის შემთხვევაში, მონაწილეებს გარკვეული დრო მისცეს სამუშაოდ და შემდეგომ წარმართოს დისკუსია. ტრენერს შეუძლია დისკუსიაში ჩართოს მთელი ჯგუფი ან ტრენინგის მონაწილეები დაჰყოს რამდენიმე ჯგუფად და სთხოვოს საკუთარი რეკომენდაციებისა და არგუმენტების შემუშავება და მსჯელობა;

როლური თამაში - კონკრეტული შემთხვევა შესაძლებელია წარმოადგენდეს როლური თამაშის ნაწილს. ამ შემთხვევაში, ტრენინგის მონაწილეები ასრულებენ ქეისში განხილული შემთხვევის სხვადასხვა მხარის როლს და ცდილობენ, თვალსაჩინოდ წარმოდგინონ საკუთარი მხარის არგუმენტები და პოზიციები;

სამუშაოს განაწილება - ქეისის კომპლექსურობის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო იყოს სამუშაოების გადანაწილება ტრენინგის მონაწილეებზე. ამ შემთხვევაში, ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს ჯგუფებად ან ტრენინგის მონაწილეთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნაწილებს სხვადასხვა სამუშაოს. ტრენინგის მონაწილეებს ევალებათ იმუშაონ ჯგუფში ან დამოუკიდებლად და შეიმუშაონ საკუთარი არგუმენტები, ანალიზი ან დასკვნები;

პრეზენტაცია - ქეისის სპეციფიკიდან და კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პრეზენტაციის მეთოდის გამოყენება. ტრენინგის მონაწილეებს ევალებათ ჯგუფში ან დამოუკიდებად იმუშაონ ქეისზე და პრეზეტაციის სახით, სხვადასხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები, არგუმენტები თუ რეკომენდაციები;

წერილობითი დოკუმენტაცია - ქეისის სპეციფიკიდან და კურსის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია წერილობითი მოხსენების ან წერილობითი დოკუმენტის შემუშავება. ამ შემთხვევაში, ტრენინგის მონაწილეები ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მუშაობენ კონკრეტულ შემთხვევაზე, მაგრამ პრეზენტაციის მეთოდისგან განსხვავებით, საკუთარ შეხედულებებს, დასკვნებს, რეკომენდაციებსა თუ არგუმენტებს წარმოადგენენ წერილობით, განსხვავებული დოკუმენტების სახით.

კითხვების სტილი

იმის მიუხედავად, რა მიზანი აქვს კონკრეტულ შემთხვევას და რა კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ კურსი, ქეისებს ყოველთვის თან ახლავს კითხვები, რომელთა მეშვეობითად ინსტრუქტორი თუ ტრენინგი ქეისის გაცნობის შემდეგ წარმართავს სამუშაო პროცესს. ტრენინგის პროცესის მუშაობა იმდენად ეფექტურია, რამდენად გასაგებად და მკაფიოდაც არის დასმული კითხვები. თუ კითხვა ბუნდოვნად არის ფორმულირებული, ტრენინგის მონაწილეებმა შესაძლოა სხვა მიმართულებით დაიწყოს მუშაობა და ასცდნენ კურსისა და ქეისის მიზნებს. შესაბამისად, ქეისის ავტორმა თავადვე უნდა განსაზღვროს კითხვები, რომელსაც შემდგომში კურსის ტრენერი დაუსვამს აუდიტორიას. კითხვების ტიპი შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავებდებოდეს თავად ქეისის, განხილული საკითხის, სამიზნე აუდიტორიისა და კურსის მიზნების სპეციფიკიდან გამომდინარე. ქვემოთ წარმოდგენილია ქეისის თანმხლები კითხვების რეკომენდებული ტიპები:

ღია დაბოლოებიანი კითხვები

> რა რეაქცია გაქვს წარმოდგენილ შემთხვევასთან დაკავშირებით?

გთხოვთ, თქვენი სიტყვებით გადმოგვცეთ, რა ხდება წარმოდგენილ ქეისში?

დიაგნოსტიკური კითხვები

თქვენი აზრით, რატომ მიიღონ X-მა აღნიშნული გადაწყვეტილება?

თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა განაპირობა X-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

ინფორმაციული კითხვები

თქვენი აზრით, ვინ არიან აღწერილ შემთხვევაში მოქმედი პირები/მხარეები?

რა არის მათი ინტერესები/პოზიციები?

როგორ ვიგებთ ამის შესახებ?

გამოწვევებზე ორიენტირებული კითხვები

რატომ ფიქრობ, რომ X-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან განხორციელებული ქმედება კეთილგონივრული/შესაბამისია?

რომელი არგუმენტებით გაამყარეთ თქვენ შეხედულებას/აზრს?

მოქმედებაზე ორიენტირებული კითხვები

თქვენი აზრით, რატომ სურს X-ს აღნიშნული მიზნის მიღწევა/მოცემული გადაწყვეტილების მიღება?

როგორ შეიძლება ის სხვაგვარად მოიქცეს ამ სიტუაციაში?

პრიოტიტეტიზაციაზე ორიენტირებული კითხვები

რომელი მოქმედებები/აქტივობებია პირველ რიგში განსახორციელებელი მოცემულ სიტუაციაში?

შეუძლია X-ს პირველ რიგში განახორციელოს A ან B მოქმედება?

წინასწარმეტყველებადი კითხვები

თქვენი აზრით, რა მოხდება შემდეგში?

ჰიპოთეტური კითხვები

თქვენი აზრით, რა მოხდება A მოქმედების ნაცვლად B მოქმედება რომ განხორციელებულიყო?

თქვენი აზრით, რა მოხდებოდა A გადაწყვეტილების ნაცვლად B გადაწყვეტილება რომ მიეღოთ?

განვრცობითი კითხვები

თქვენი აზრით, რა შეიძლება გამოიწვიოს A ქმედებამ?

თქვენი აზრით, რა რისკები ახლავს თან A გადაწყვეტილებას?

განზოგადების კითხვები

თქვენი აზრით, აღწერილ სიტუაციაში სხვა გამოცდილი ადამიანიც A ქმედებას განახორციელებდა?

თქვენი აზრით, რა უნარები და კომპეტენციებია საჭირო შემთხვევაში დასახული A მიზნის მისაღწევად?

გამოყენებითი კითხვები

თქვენ როგორ უმკლავდებით აღნიშნულ პრობლემას?

თქვენ შემთხვევაშიც ისე ხდება, როგორც ეს აღნიშნულ შემთხვევაშია აღწერილი?

ანალიზის კითხვები

კიდევ სად და რა შემთხვევაში შეიძლება გადავაწყდეთ A ტიპის შემთხვევებს/პრობლემებს?

რით შეიძლება განსხვავდებოდეს/ემსგავსებოდეს ქეისში განხილული პრობლემა რეალურ პრობლემას?

შეფასებითი კითხვები

თქვენი აზრით, რა იქნებოდა A სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი/საუკეთესო გადაწყვეტა?

ბიბლიოგრაფია:

International Records Management Trust (2016); Writing Case Studies: A Manual; *International Recors management trust.*

Alan Clardy (1994); 50 Case Studies for Management and Supervisory Training; *HRD Press; Lakewood Publication.*

Elizabeth M. Willis, Laura Sujo de Montes, Patricia Hays, Ann Rowland (2007); A Descriptive Case Study of Teaching and Learning; *Northers Arizona University.*

Michelle Schwartz (2011), Teaching Methods for Case Studies; *Ryerson University.*

Angelo, T & Boehrer, J. (2002). Case learning: How does it work? Why is it effective? Case Method Website: How to Teach with Cases, *University of California.*

Daly, P. (2002). Methodology for using case studies in the business English language classroom. *Internet TESL Journal. 8(11).*

Davis, C. & Wilcock, E. Teaching materials using case studies. *UK Centre for Materials Education, Higher Education Academy.*

Teaching with case studies. (1994). Speaking of Teaching, *Stanford University Newsletter on Teaching. 5(2).*

Vicki L. Golich, Mark Boyer, Patrice Franko, Steve Lamy (2000); The ABS's of Case Teaching; *Institute for The Study of Diplomacy, Georgetown University*

Paul M. Swiercz (2010); A Guide to Student Written- Instructor Facilitated Case Writing; *The George Washington University.*

Davis C. and Wilcock E. (2003); Teaching Materials Using Case Studies; *UK Centre for Materials Education.*

James J. Chrisman (2000); Writing A Publishable Case: Some Guidelines; *The World Association for Case Method Research & Application*

Seeger, J.; Case Research Editorials; *The World Association for Case Method Research & Application;* http://www.wacra.org/